



თეატრი



საყოველ-კვირობო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

8 დეკემბერი

გამოცემა

№ 16

ქვირათბით

1885 წელსა.

ფასი „თეატრ“-სა

წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილად შემოკანა წლის ფასისა: ხელის-მოწერისათხვე სამი (3) მანეთი, მაისში ერთი (1) მანეთი და მარტამობის თვეშიაც ერთი (1) მანეთი. ცალკე რომელი „თეატრ“-სა ღირს სამი (3) შუბრი. ფასი განცხადებისა: მეორე გვერდზედ სტრაქონზე 5 კაპ. პირველზე 10 კაპ. მთელი უკანასკნელი გვერდი 20 მანეთი, პირველი 35 მანეთი.

სელის მოწერა მაიღება:

თბილისში გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და „თეატრი“-ს რედაქციაში. ქუთაისში ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში ს. შტაბლობლისსეილთან. თელავში ი. როსტომაშვილთან. გარეშე მცხოვრებთათვის ადრეს: Тифлисъ, Редакция „Театръ“.

კორესპონდენტები და საზოგადოთ ნაწერები პ-რ-და-პირ „თეატრის“ რედაქციაში უნდა გამოიგზავნოს. დაუბეჭდვდ წერილებს რედაქცია ავტორს ვერ დაუბრუნებს.

ამ ნომერთან ხელის მოწერლებს ურიგდებათ თ. ი. ჭავჭავაძის სურათი.

საყოველ-კვირობო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი

„თეატრი“

მიიღება ხელის მოწერა 1886 წლისათვის
(წელიწადი მერე)

პროგრამა და სივრცე გაზეთი, „თეატრი“-სა იგივე ღირება, რაც 1885 წ. იყო.

„თეატრი“ გამოვა კვირაში ერთხელ, კვირათბით.

ფასი „თეატრი“-სა: წლით როგორც ჯალქის, აგრეთვე გარეშე სელის მომწერთათვის ღირს ხუთი (5) მანეთი, ნახევარის წლით—სამი (3) მანეთი სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება „თეატრი“-ს რედაქციაში; ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

ქართული
18
გვიდას,



თეატრი
85
8 დეკემბერს


ქართული თეატრი


ქართული დრამატული დასისგან წარმოდგენილი იქნება:

I

ცხოვრების თანამოგზაური
კომედია-დრამა 5 მოქმედ.
დასაწყისი 8 საათზე.

ქვირას, პირველს ქრისტიანობის თვეს, ქართულ-მაღაზიათელმა დასმა წარმოადგინა მ. ა. აბაშიძის ბენეფისში: „მზლანდელი სიყვარული“, კომედია 4-ს მოქმედებად, გადმოთარგმნილი თვითონ ბენეფიციანტისაგან. ამ პიესას, რომ კრიტიკულის წერტილით თელი გადავადლოთ, დაინახავთ რომ მეტათ რეალური მოვლენანი არიან დახატულნი, რომელნიც ყოველ დღიურს მაგალითს შეადგენენ ჩვენს





საზოგადოებაში; იგი გვიხდის მზაკვარების ფარდას და ნათლად გვიჩვენებს იმ დაცემულს საზოგადოებას, რომელსაც დაუკარგავს ყოველივე პატიოსანი კაცობრიული ღირსებანი და თავის აზრების მონობითა სცხოვრობს; იგი სცხოვრობს შორს მივირდნოლს ადგილას და იქიდან ბეცის თვალებით უყურებს კაცობრიობის პროგრესიულად წინ მიმდინარეობას. იმას არა სწამს ის მაღალი იდეა, რომელსაც პატიოსნებას გეძახით და რომელიც კაცის ზნეობითს ამპარტაუნობას აამაღლებს; მხოლოდ იმის პირ-და-პირ დანიშნულებას შეადგენენ: პიროვნული სარგებლობა და უფროსის დაბლა თავყვანის ცემა. აი განუშორებელივე ეს აზრები სადგურობენ იმის გულის სირღობაში, რომელსაც ისე მკვიდრად ჩაუყრია საძირკველი მაში... აი, ეს თხზულება რა გვარს ცხოვრების გოლიათებს გვაცნობებს, რომელნიც ყოველთვის ბნელს ქვეყანაში მეფობენ. ღიახ, მეტად ხელოვნურად არიან დახატულნი ეს „პამპადურები“, როგორც შჩედრინი უწოდებს მათ. მაგალითად ავიღოთ იაკობ სასტიკაძე (მ. აბაშიძე) და თავ. ჯამბარ-ჯამბარაშვილი (ა. მოხევე), ეს ორივენი დეპარტამენტის ჩინოვნიკები გახლან, რომელნიც არსივებში საქმეების ძებნაში დაბერებულან. ჯამბარ-ჯამბარაშვილი იაკობ სასტიკაძეს უფროსია სამსახურით, როდესაც იგი ელაპარაკება იმას, თრთის, კანკალებს, თვალთ უბნელდება და წელში გამოშანთული თვალეში შესტკერის, თუ რა აამოს; ზოგჯერ ცდილობს იმის ნაფხურზედ არ გადაიაროს და ხან იმ ცხოველურს გრძობამდის მიღის, რომ უფროსის უბძანებლად არც კი ფიქრობს, როგორც თვითონაც ბრძანებს: «თუ მიბრძანებ, თქვენო ბრწყინვალეებავ, მივხედვები!» აი, ეს მდბალი გრძობა— მიმართულებანი მეტად ხელოვნურად იყენენ დახატულნი ბ. მ. აბაშიძეს და ბ. ალ. მოხევესაგან.

როდესაც დროთა-ვითარების წყალობით ბ. ახირებულოაძე (ალექ.-მესხივე) ამ დაცემულს საზოგადოებაში სტოპავს, რომელიც იღვწის, ცდილობს თავის შეურყეველი აზრების განხორციელებას და ახალ-გაზდა ნუცას (მ. საფ.-აბაშიძისა) კეთილს მიმართულებაზედ აყენებს და როდესაც იგი ნი სულით ერთმანერთს უკავშირდებიან; აი მაშინ იბადები ბრძოლა, ამ ორი პატარა საზოგადოების შორის, საბრალო უსუსურს ქალზედ, რომლის გული ითხოვს შეუმწიკვლელს, წმინდა სიყვარულს, მაგრამ ყოველივე ცდა ამაოდ მიდის! ავად-მყოფი საღს ამარცხებს დაცემული საზოგადოებას უსუსური

ქალი, სათამაშო ნიეთად აქეთ გარდაცემული და უმსისაძაღლემდის მიდის ნუცას მაშა, რომ თავის უფროს ჯამბარ-ჯამბარაშვილს აძლევს მსხვერპლად. იმას გულიდგან ჰგლეჯენ იმ წმინდა გრძობას, რომლის მონაც ის არის და აბარებენ იმ პირს, რომელიც ამა მსოფლიურს ფუფუნებას შეადგენს. მს დრამა-კომედიური მდგომარეობა ნუცასი მეტად გონივრულის მოაზრებით იყო აღსრულებული ქ. საფ.-აბაშიძისაგან. მეტადრე უფრო შესანიშნავი იყო ერთი გარემოება, როდესაც გულიდგან ჰგლეჯენ ახალ-გაზდა მიჯნურს და ბებერს გამოჩერჩეტებულს დეპარტამენტის ჩინოვნიკს აძლევენ, მაშინ იმედგარდაწყვეტილი გარემოებას ემორჩილება და ხელს უშვერს ამ უღირს პირს, აი, აქ საფ.-აბაშიძისამ მეტად მშვენიერად დახატა, იმას ემჩნეოდა უკმაყოფილება, ტანჯვა და ისრე გაუშალა ხელი, რომ გულითა და სულით სხვაგან ჰქროდა და იმ ადგილს გასტკეროდა, საითაც ახირებულაქე წავიდა და სხეულს კი გარემოებას უთმობდა. რაიცა შეეხება ბ. ახირებულაძეს, უკანასკნელს შემთხვევაში იგი სრულიად ღირსებასა ჰკარგავს, როდესაც, თუმცა დიდის ტანჯვით, მაგრამ უბრძოლველად თავს ანებებს თავის იდეალს, მით უფრო რომ ის დარწმუნებულია, რომ ნუცა მთელს თავის სიცოცხლეს ტანჯვაში და უბედურებაში გაატარებს. ბ. ალექ.-მესხივეს ის სულის ძალა (СИЛА ВОЛИ) არ ეტყობოდა, როგორც კი შეჭფერის მეოთხე მოქმედებამდის ამ გამბედავს ტოპს; სრულის სინამდვილით ვერ იყო დახატული, იმას ემჩნეოდა უფრო ნაზი გრძობა და სულის გამჭკრიახობის სისუსტე, რომელიც ამ პირს სრულებით არ ეთანხმება.

მეორე წარმოდგინეს „ცელქები“ და ამ ვოდვილში ყველა მსახიობმა რიგიანად შეასრულეს თავ-თავიანთ როლები.

მერმე ეს ყოველივე დივერტისმენტით და დაფნის გვირგვინებების მირთმევით დაგვირგინდა, რომელთაგანიც ერთი თვითონ ქართულმა დასმა მიართობენ ფიციანტს და ბ. ა. მოხევემ შემდეგის სიტყვებით მიმართა:

«ნიჭიერო არტისტო! მიიღე ეს გვირგვინი დაფნისა, რომელსაც გიძღვნის არტისტთა საზოგადოება... მათვე მომანდევს გადმოგცეთ, რომ ეს მცირედი ნიშანი იმ განუსაზღვრელის სიტკბოებისა, რომელსაც კაცის გულში ნიჭი და ხელოვნება აღძრავს, გთხოვენ მიიღო სახსოვრად და არა ჯილდოდ... არა ჯილდოდ-მეთქი ვამბობ, რადგანაც ყველა მათგანი დარწმუნებულია, რომ ორიოდ კაცს ნიჭიე-

რების დაჯილდოების უფლება არა აქვს. თვით ნი-
ქა არის ზეცით მინიჭებული ჯილდო ამორჩეულ-
თათვის და დანიშნული ხალხთა სიტყბოების და
ბედნიერებისათვის... მაშასადამე თვით დაფასებას
უფლება მხოლოდ ხალხს შეუძლიან და მასთან ერ-
თად გამოჩენილთა სახელის საშვილი-შვილოდ გარ-
დამცემსა ისტორიასა.

„მაშ მიიღე, ძმაო, სახსოვრად და ნიშნად იმ
გრძნობისა, რომელიც შენის შრომისა და მოღვა-
წეობით არის აღძრული და საზოგადო საქმისთვის
ერთ-ძმად შეერთებულთა ერთადვე ვისურვოთ:
„იცოცხლოს ქართულმა თეატრმა, იცოცხლოს ჩვენ-
ის სცენის სულის ჩიმბღმელთა, პრავალ-ქამიერ.“

ღივერტისმენტი სიმღერით და ლექსების კი-
თხვით შესდგებოდა, რომელშიაც სხვათა შორის მო-
ნაწილეობას იღებდა, კნ. ნ. მრბელიანისა, რომ-
ელმაც სამიოდე მგრძნობიერი ლექსი წაიკითხა
და თაიგული მიართვეს. საერთოდ ამ წარმოდგენამ
მეტად მხიარულად ჩაიარა.

ი. კ—ლი.

პრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

ჩვენ ლიტერატურაზე

(დასასრული)

VI

მოსურნეებიც ბევრია, რაიმე საზღვებლბა მოუტა-
ნონ ჩვენ ლიტერატურას თავიანთი შრომით. ყველა ამ
გვარი პატივი ლიტერატურაში ეკვესებან, მიუსჯდეკლად
იპას, აქვსთ მიწოდება, თუ არა. მატრატყვენ ვი პატი-
ნასზე, აწვევენ, თუ არა მას არ დაქმბენ, არც თავის
დონეს ამოწმებენ. აღონდ სურვილი იყოს და საზღვ-
დობას ყოველთვის და ყოველგან მოიტანს გაცი, რა
ასპარესსედაც არ უნდა მუშავობდეს. „გეთილი მოქა-
ლქე, ამბობს სმაილსი, სასუდმიწიფო მოღვაწეზე ნაკლებ
საზღვებლბას არ მოიტანს.“ გიდრე პირველი თავის მ-
გალითით ზრდის დანარჩენ მოქალაქეებს და ამ გვარად
უძღვნის სამშობლოს ერთის ნაცვლად, რამოდენიმე გე-
თილ წევრს.

ერთი მოკლენა არის საყურადღებო ჩვენს მწერ-

დობაში; როგორც მოგასხენეთ, ჩვენში მწერლობა
სურვილი საზღვებლბის მოტანის სურვილით. ჩვენი ნა-
დაცა ამას მიზეზი, თუ ჩვენი აღზრდა, რაივისლურ
მწერლებს ახალ-გაზდებში ძაიელ ცოტას გსედაკო. რა
მიზეზია, რომ ჩვენი ახალ-გაზდა მწერლება თარგ-
მისს არა ჰქედებენ სელს? განა ცოტა საზღვებლ-
ბას მოგვიტანენ ამ მსრით? ვითომ რა საიტსკა-
ლია თარგმნა? შორს წასვლა არ გვჭირდება მაგალითზე:
ფრესელი ჩვენ მწერლობაში ცნობილი იქმნა თავის სე-
ლოვისური დემონის თარგმნით. განა ცუდი იქმნებოდა,
რომ გვეჩინდეს თარგმანი ისეთი კლასიკურა მწერლება-
სა, როგორც არიან: შექსპირი, შილერი. გეტტი,
ბაირონი, ჰეინე, გიეტორ ჰიუგო, შილესგენი და სსვა-
და-სსვა? მართლია პოეტების თარგმნის განსსვაგებული
ნაჭი სჭირდება, მაგრამ რომანებს ვი გვდმოთარგმნიდა
შრომის მოყვარე და მცირედ მანც არის ენის მცოდნე
გაცი. რა მიზეზია, რომ ზოგიერთი რუსეთის მწერლე-
ბი არა გვაქვს თარგმნით? რამოდენიმე რომანები ტურ-
გენიევისა, დოსტოევსკის, გონჩაროვის. პასკვიის და
სსვების? ეს მწერლები მით უფრო საჭირონი არიან ჩვენ-
ნი ლიტერატურისათვის, რომ მათზე იღზრდებან ჩვენი
უმწილები. იმათის თარგმნით ამ უკანასკნელებს საშუა-
ლება მიეცემოდათ ქართულად გასცნობოდენ ამ მწერ-
ლებს, რომლებსაც იძულებული არიან რუსულ ენაზე გაცნ-
ნონ. შეიძლება ეს საშუალება ერთი უკეთესთაგანი იყ-
ვეს ქართულის ენის და ლიტერატურის გამშვენიერები-
სათვის.

შემდარი იქნება, ვინც თარგმნაში მცირედ საზღვ-
დობას ჰპოულობს. თარგმნით საშუალება გვეძვევა შენს
ენაზე გაცნო საზოგადო მსოფლიო იდეებს. ამას გარ-
და ამდიდრებ ენას. მწერლს, რომელიც თავისი ძალი
ნაჭით მთელ ქვეყანას ეკუთვნის, შენი ერის კუთვნილე-
ბად სდი. ჩემის ასრით შექმნის სერხანანად გვდმოთარ-
გმნელს ვანაცვლები მთლად ჩვენ დრამატიულ ლიტერა-
ტურას; ბაირონისას—რაც აქმდას ჩვენში პოემება და-
წერილს; შილესგენისას—რაც რომანები და მოთხრო-
ბები (მკითხველმა სასეში იჭონიოს ჩვენი ახალი მწერ-
ლობა).

ერთს გარემოებსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება.
ესლს და ესლს ძლიერ ემხნევა, რომ მკითხველ საზოგა-
დობას ვერ აკმაყოფილებს ჩვენი მწერლობა. ან რით
უნდა დაგვაკმაყოფილოს ჩვენმა პოლიტიკურმა და ლი-
ტერატურულმა ყურნაღმა „ივერისმ“, რომლის გამოსვ-
ლამდის სული გსდება კანს და როდესაც გამოვა, ვი იმ
გვარ გამოსვლას. მერმე დედის ერთა შეილი მანც არ
იყოს. ამ გვარ გაბეჯითებულ ყურნაღის ქანებას, უკო-
ნელობა ბევრად სჯობია. რამოდენიმე გვერდი პეტრას

* იხილე „ოვატრი“ № 15.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ველტონი

ახალი დაკავშირებული

(მოთხრობა ზაზარ მახონისა; ნემეცურიდგან)

ეს მოხდა 1859 წლის დანაწიასში, რომელსაც პირველად ნადირთ მახველები სსკა-და-სსკა გვარის ნადირთ ბუსარქსში მოვიდენ. მთელა ქალაქი მკვლავრებაში მოვიდა იშვიათის მოდგმას და მწავლის მსეტის ნასკით, ლომების სამშენიერით და განსაკუთრებით დამამკვადებლისგან, რომელმაც განსაცვათუბელა მამაცობანი წაიღანა.

გერმა დალსტრომი, ასე ეძახდენ მას, ასლ-განდა შვედის ქალი იყო, ღამაზი, გამბედავი, საუცხოო, მიუყარებელი. მართლაც, მას ნადირთ-სახველების პატრონის სხეულად სანავდენ, მაგრამ მდიდარი დიდგანები, რომელნიც გაქს ეკლებოდენ, რომ მისა გული მოეგოთ, მხოლოდ ციკს თავზაანობას და დამატანას სიამაყეს სვდებოდენ, რომელაც ვეკლას განსეყენებდა. იგი გაჩნებრვის ოჯახობასთან ერთად ერთს საუკეთესო „ოტულ“-თგანში სადგურობდა, დადიოდა ნადირთ-სახსავში, იქიდან ბრუნდებოდა ეტლით, როგორც მალა საინისის ქალი; არავითარს ვიზიტებს არ იღებდა, და არც არავის უნახვას მატო სადმე. ასეთმა „ვეესტალკის“*) საიკატრემ და თავ-დაჭერამ ვეკლას ცნობის-მოყვარობა გაუღვიძა; ასე რომ გერმა დალსტრომის სასელა მსწავლად აქეთავე განთქმული შეიქმნა, როგორც კატალანის და ლოლა მონტესისა.

ერთსელ მსეტის სახსავში მოძმანდა პარიუიდგან ხსლად დაბრუნებელი თავადი მანასკო, ბუსარქის დედათა სქისას ნებოერა; მან დათკაღიერა, მეგობართა თანა-მძღომლობით, რომდენიმე ნადირი და, დასასრულ, ლომის ფაფახასთან გაჩერდა და სკეპტიურის დიმილით გამოჩენილის შვედის ქალის მოსვლას დაუწყო ლოდინი. უცნაურ უკანა გადაფიცრულთან გაიღო პატარა, ვიწრო კარები და მძინვარე ტანის მცემელს ხალსს გამოცხსადა გერმა. მედიდურის მოძრობით დიდი ტუავის ქათობა გაინდა და თეთრის ატლასას, ყარყუმით შემოჭრებულის კაბით, წიკლათი სელში, მალდი, მოყვანილის ტანით და მთელს ქვეყნასუდ უკეთილ-შობილურების სახით, რომელსაც გამოთქმელს სიტურფესს ამლეკდენ ოქროს ფერფანი კავები და წლოვანების სი-

წიგნისა შეიკავს ქართველთა ტენის მოძრობას. ნუ თუ ეს ჩვენი სულის მოძრობას არ მოასწავებს? რით დაგვაგმეოფილებს გასეთი „დროება“, რომელსაც სვირინი თანამშრომელი ერთიც არა ჭეკეს და ხან-ბუნხანებს დარჩენიანთ ბურთი და მოედანი. ანობათა-ზე სრულებითაც არ ვილაპარაკებთ, ვინადგან ეს საუმაწვილო უერნადა. ის არავინ იფიქროს, რომ ჩვენ ამით ან ერთს, ან მეორე რეაქციას ვკიცხვდეთ. რეაქცია და რეაქტორი, თუ მათ თანამშრომლები არ ჭეკეთ, უსატო ეკლესიას წამოადგენენ. ყველამ ვინც, რომ ერთს კაცს არ ძალუძს არც უერნადას და არც გასეთის გავსება.

ჩვენ ვსთქვით, რომ მკითხველ საზოგადოებას ვერ ვამოთვლილებს ჩვენი მწერლობა ის იმ მოასრუბით ვსთქვით, რომ მკითხველი საზოგადოებას ჩვენი ლიტერატურა უკან ჩამოაჩენია. თუ ვინმე ჭკითსულობს ჩვენს უერნადა-გასეთებს ეს ქართული ენის სიყვარულით და ერთ-გულობით მოხდის, — ამ მკითხველ საზოგადოების გარდა, არის მეორე საზოგადოება — ხალხთა გროვა. ჩვენი მწერლობა მას სულ ვერ ვამოთვლილებს, რადგან იგი ამ საზოგადოებაზე წინ წასულა. ასე რომ, ლიტერატურა შეუსე დაჩენილა და არც ერთ მხარეს არ აჩეკებს.

ისიც უნდა ვსთქვათ, რომ არავინა შრომა არ არის ქართული მწერლობისთან უმადური და უსახიდლო. ვატი შრომობს და ამ შრომით ლუკმა ურეს ვერ ჭკოვლობს. სედა უკანასკნელი ლეჩია შენსე უკეთ იძლებს გუჭს და უკეთ გამოდის. ასლ-განდა მწერალი მტყუნობს თავის დანიშნულებას, ვარდება სასოწარკვეთილებას და შედის სადმე სამსასურში. მწერლობის მოწოდებას შეიძლება მან არ აჩეკოს კვირასი ორა საათი. ესეც ლიტერატურის უძღურებას მიხეზია. ყოველი კეთილი ვატი მხად უნდა იყოს მამულს სარგებლობა მოუტანოს. შამშალა მსელა, მერმე მუშავისათვის; — იგი მუშაობასაც ვერ ასეჩებს მშიერ გუჭზე. ყოველს განათლებულს ქვეყნაში ლიტერატურა უუპტიოსისეა შრომაც არის და არც ულუკმა-პუროდ სტოკებს მოღვაწეს. ლიტერატურის წარჩინებისათვის ყოველთვის სჯობია მოღვაწეს ჯილდო ეძლეოდეს. ჯილდოს მძღველი განხიჯავს მანრ, თუ რა საქონელს უიდელობს. ღრთა მოკაფიქროთ რამე ამ საგანზე. „დროება“ ბევრჯერ წამოასთქვა ამსე თავის აზრი. ან უნდა მივიღოთ „დროების“ აზრის შესასებ ლიტერატურული ფონდის დაჩისება, ან სსკა რამე მოკაფიქროთ. რეაქციებს, რომ არ შეუძლია ეს დიდი ხანა უნდა შეგვგნო.


რ. აღისუბნელი

*) ძველად რომში ყრთა ტაძრებში ემსახურებოდენ ქალები, ჩვენი მონონებოვით, რომელთაც „ვეესტალკის“ უწოდებდენ.

მთარგ.



თ. ილიას ჭავჭავაძე



ნორსე, ყაფაზაში შევიდა. თავადი შირველივე წუთიდან მოახიზდა; იგი აღელვებით და აღტაცებით ადევნებდა ყოველს მის მოსწავლას თვალს. მისი გული საშინლად ატოვდა, როდესაც გერმამ თავისი მშვენიერი თავი საშინელს ლომს შირში ჩაუდო, იგი კანკალებდა, როდესაც ხედავდა, როგორ ელაშხარებოდა გერმა და ფესსა და წვეკლას სტემდა უჩხს ნადირს.

როგორც გამოვიდა დამამშვიდებელი ყაფაზიდგან, მაშინვე თავადი მანიასკო იმის წინ იდგა და თავს უკრავდა, — იმ დროს, როცა იგი ქათიბს იცვამდა, რომელიც მიწოდდა ქაბუკა ედგარმა, გარსბურვის შვილმა, შესანიშნავის სილამაზის მქონემ. გერმამ თავისი დიდრინი, მტრედის ფერი თვალები განცვიფრებით და შიშით შეასწრა ამ იდეალურს ნაჭოს, რომელიც თითქმის ქალურს სიტუირფეს მოგაგონებდათ; მან ხეულებრივის ცივის მედიდურობით არ უზასუხა მის, კითხვებზე, არამედ შეკრთომით და გამოუთქმელის ნარნარის დიმილით შესხვდა.

თავადმა მანიასკომ ყოველს საღამოს დაიწყო იქ სიარული და გერმა, არამც თუ ტუბილად მიიღებდა სოღმე, არამედ ექებდა კიდევ თვლებით, როცა ყაფაზაში შედიოდა და გამოსვლისას-კი მოუთმენელად აბაკუნებდა თავის ვატარა ფესებს, თუ თავადი იქ არ იყო, რომ მისთვის ქათიბი მიეწოდებინა.

მაგრამ ეს იყო სულ, რაც თავადს შეეძლო მოეპოვა და რამდენადაც გერმა შეუბოკრად არა თანხმდებოდა მის თხოვნასზედ, იმდენად მას იშურობდა ჯოჯოხეთური სურვილი მისის მიუღობელობისა.

მოულოდნელი მოცილე მოკვლიან თავადს მაშველად. ერთს საღამოსზედ ედგარმა, როცა გერმა ყაფაზაში უნდა შესულიყო, აკანკალებულის სმით უთხრა მას:

— მე მეგონა, რომ შენ მაშიჩემის საყვარელი იყავი და ვხუდიბოდი; ესლა-კი უნდა გითხრა, რომ მიუკარსარ და არასოდეს არ დავსთანხმდები, რომ თავი დაიმტირო იმ თავადთან, რომელიც ერთი თავადის ქალის საქმეა უკვე და შენ-კი სამკლად დავცინის.

როდესაც წარმოდგენის შემდეგ მანიასკო მივიდა გერმასთან, გერმამ მას ჩუმადა ჭკითხა:

- მართალია, რომ თქვენ საცოლე გუვათ?
- მართალია, უზასუხა მან, მაგრამ თუ შენ მოსურვებ, მე დაუყოვნებლივ მოუღობ ბოლღს ამ მოსაწყენ რომანს და ფეს-ჭკეშ ჩავიკარებები, როგორცათაც შენი მონა.
- ჭო, მაგრამ თქვენ მე არ გიყვარვართ...
- როგორ დავიმტვიცლოთ?
- შენ-ღამეზედ ერთი საათით ადრე მოდიო ვატარა

კარებთან, როდესაც მსეტო-სანასკეში შევიდა და გარდაჭრით უთხრა გერმამ.

— მოვალ, იყო ვასუსი.
ისიც მოვიდა და როდესაც მსეტო სანასკეიდგან გამოდიოდა, ღამის საბნელეში, მაშინ ორი ნახი სული მოესვია მის ყელს და ავსნებული ტუჩები შეუერთდნ მის ტუჩებს.

რამდენიმე წლის შემდეგ თავადის მინიასკოს და მსეტო დამამშვიდებელის ამ საყურადღებო კავშირზედა იყო ლაშარაკი ყოველს სასოგადოებაში.

თავის შეილის მომავალზედ შეშინებულმა მამამ გარდასწყვიტა, რაც შეიძლება ჩაიარა გადაწყვიტა ჯვარი მისთვის ატარებდა სლაბოდაზე, რომელსაც ბავშობიდანვე იყო დანიშნული. მამასა და შეილს შუა ცსარე სტენა მოხდა, დასასრულ უკანასკნელმა დაუთმო დაერთს საღამოს, ადარ მოვიდა ცირკში.

ამ საღამოს შემდეგ გერმასთვის უმტანჯველესი ღამე დადგა. კიდევ ორი საღამო უბრალოდ მოელოდა იგი თავის საყვარელს, შემდეგ წიგნი მასწავრა და არავითარი ვასუსი არ მიიღო.


მეოთხე საღამოსზედ, როდესაც ის ყაფაზიდგან გამოვიდა და ქათიბს იცვამდა, ედგარმა უთხრა:

- გერმა, განა უნდა გითხრა, რატომაც აღარ მოდის ის საზიზღარი?
- სთქვი, წარმოსთქვა მან ბოხის სმით, ყველაფერზედ მზადა ვარ.
- სამის ღღის შემდეგ ის თავის ქორწილს იდექსაწყალებს.

- სტუი!..
 - სატუყარი რა მქვს.
 - რა ჭკვიან იმის საცოლეს?
 - განაუნა ატარებდა სლაბოდა.
 - ღამაზია?
 - ღამაზიც არის, ახალ-გაზდაც და მდიდარიც.
- მომწყვლემა და საშინელმა სიცილმა გაუძრულა გერმას შირი.

— მითხარ, რომ შენ ერთს, მხოლოდ ერთს ცრემლს ჩამოაგდებ ჩემთვის, თუ შენი გულისთვის მოკვდება, შეჭყვირა ედგარმა, და მე შენს ვიძიებ, მე მომკვლე ვას...

- არა, ედგარ, შენ არ უნდა გახდე მსხვერპლი, შენ არა...
- მაშ დაუსჯელად სომ არ უნდა დარჩეს ის უმჯინია?
- რასაკრელია, არა, უზასუხა მან, დინჯის, მაგრამ მტვიცნ სმით.



საქართველო
საბჭოთაო

ქ მ ა მ ს მ ს ა ნ ჯ ა ნ !

— მ.შ ნება მომეცი მე დასასჯა!.. წაიხრებულა
კვდავმა თავისის აკანკალებულის ტუჩებით.

— ანა, უზასუსა გემამ, მე მომანებე იგი...
გვგარი გახუდა.

ს. ახ—ოვი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ზ ა მ თ ა რ ი

ღ

ადგა ზამთარი—ბუნებას ეფინა თეთრი
საფარი;
ცამ შუბლი შეჰკრა მრისხანედ; გრიალებს ქარი
საზარი...
სიცივე, ყინვა გვესტუმრა... ხეებთ აღარ აქვსთ
საფარი;
აღარსად მოსჩანს, სულ არსად, ამწვანებული მთა-
ბარი!..

შრინველნი თვისებრ უცხო ხმით კეკლუტად აღარ
მღერიან...
მარსკვლავნი მოკამკამენი ცის მრთველად აღარ
არიან...
მდინართ შესწყვიტეს ჩხრიალი, მაგივრად მხეცებრ
ჰყვირიან,
მთანი მოსუცნი მათ შფოთვით გაოცებულნი
არიან!..

ჰკივის და ჰკივის გრიგალი მხეცებრივ—გაგიჟებულა!
ბუქი ტრიალებს, სუსხს სტოვებს; გარშემო დაბნე
ლებულა...
სითბო, ხალისი ზაფხულის, უმჩნევლად, განქარე-
ბულა—
ბუნება გამოცვლილია, ბუნება დაბერებულა!..

შენც, ჩემო თავო, ეს გელის!—შენი ზაფხულიც
განქრება!...
სითბოს შევიცვლის სხვა ყინვა—სიბერე მოგეპარება!
ძილვე მოკვდები!.. ბუნება ხელ-ახლად აყვავილ-
დება,—
შენი სიცოცხლე, დამკნარი, სამარადისოთ განქ-
რება!..

ბ. თაბჯლი.

პირველად მრავალს მოკითხვას მოგახსენებ და
მაღალ ღმერთსა ვსთხოვ, რომ წმინდა ზედაშეს
მადლი შეეწიოს ჩემს ძმა-ბიჭსა. ახლა, ძმაო, ვიცი
რომ ახალი ამბები არ გეცოდინება და ცოტაოდენს
მოგწერამ. ხომ იცი, ზაფხული იყო,—იპისი სუ-
ლის ქირიმე?—ქლიავი და ჭერამი ხეხილებს კოპ-
წიათ ჩამოეკიდენ, ალუბლის ხე ლამაზი ქალივით
მორცხვად და კეკლუტად წამოწითლდა და, ჩვენი
ფირის მადლმა, წიგნის მოწერის დრო არა მქონდა.
მხლა კი მიწა შენც მოგწერო და ქვეყანასაც შე-
ვატყობინო ზოგიერთი ჩვენი გულის პასუხი...

ჯერ, ძმაოჯან, ყველაზედ ახალი ის არის, რომ
ჩვენი მოპირნახულე ფიქრის გოჭა დაგვიქციეს;
დექამ დუმიტი ქაა, ჭკუას ძალა დაატა და
გადასწყვიტა, რომ შერაზე ახალი ხიდი გაეკეთები-
ნა. მაკეთეს, მაგრამ უნდა ნახო, რა ნაირად გა-
ფუტდა ჩვენი საქეიფო არე-მარე, ის არე-მარე, თა-
თუზას დუქანში რომ შევიყრებოდით ხოლმე, ხომ
გახსოვს, მე, შენ, მუმუა (ჭკუის კოლოფი), შაქია,
იემია, ჭიღრიკა,—ის კი არ იყო მაზალო!—შდია
და ერთი კიყინა გექონდა. სად არის ხარატ-ბუმ-
ბრიას ტკბილი დუდუკი, რომლის ხმაზედ ფიქრის
გოჭა-ც კი გამოფხიზლდებოდა თავის დარღებისა-
გან და ჩვენთან ერთად ბუქნას უვლიდა ხოლმე.
ისე ჩამოუშვია იქაურობას ცხვირ-პირი, ასე გგო-
ნია—სამი მკედარი უძევს სახლშიო...

შემის მეიდანზედაც ბალი უნდა გააკეთონო.
რა ჭკვიანები არიან და! სხვები აქა-იქა ნებსესა ჰკრე-
ფავენ, ბალებში ჰყრიან, მაგათ მზად მონეხვილი
ადგილი იპოვეს...

ახლა კი მშვიდობით, დრო არა მაქვს... მეც
მინდა გაზეთი გამოვსცე—ესლა ხომ ყველა გაზე-
თებსა სცემს—და იმის ნება-რთვაზე მივდივარ. ზამ-
თარია და მაშ რა გავაკეთო? მაზაფხულამდის მინ-
და ამ საქმეს მივეყო ხელი...

მომიკითხე ჩვენი ძმა-ბიჭები: ბიჭუა, ზენუა
ძაკუაშვილი, მარათ-ქანდოლა და სხვები. ბიჭო! მა-
რეწელუაშვილი სად დაიკარგა, რომ აღარა სჩანს?
ჰა, ვირის-აბანოში ხომ არ არის თავისი თავის ზა-
ლოგად?

მშხით დამწვარი ვარ, ძმაოჯან, ეშხით! რაც
ამ წყეულს ქალებს ნება გამოუფიდათ, ხომ კურ-
ტუმზე კურტუმი დაიკრონ, აღარ მიკარებენ, აღა-

რა მკადრულობენ. ისე ვარ დამწვარი, რომ ლექსებსაც კი მიყვავი ხელი... მე და ლექსები? აი, ყური დაუგდე:

დამწვარი კინტო

„შემიბრალებთ, ეშხითა ვარ ავადა,
მადლი ჰქენით, მოდით სანახავადა!“

მერსად ვნახე მე ქალი ჩემი ტოლი,
მარტოდ-მარტო დავალ კინტო ობოლი;
ჩემთვის გაწყდა, სავსე არის ბულვარი,
მისაც ვუთხარ, ყველამ მითხრა უარი.

„შემიბრალებთ, ეშხითა ვარ ავადა,
მადლი ჰქენით, მოდით სანახავადა!“

ზაჩემ? მოი გალავა, ნი გალავა?
რათა, ძმაო, ოხერია, გიჟი? მა!
რა გიყავი? მოი რუკი, ნი რუკი?
რითი მწუნობ, რომ არ მაკრავს ვალსტუკი?

„შემიბრალებთ, ეშხითა ვარ ავადა,
მადლი ჰქენით, მოდით სანახავადა!“

პალუბი რაზ, მნე ვსერცა აგონ გარატ,
სლაღკი სლოვა მნე ნიხტო ნი გავარიტ;
შენმა თვალმა ერთხელ მე არ მიყურა,
ღლია ტებე ვაგონ პაიღუ ი ვკურა!

„შემიბრალებთ, ეშხითა ვარ ავადა,
ჰქენით მადლი, მოდით სანახავადა!“

რად იძახი უარს, რად გეზიზღები
მე—რომელიც შენთვის ვიწვი და ვკვდები!
რას მთხოვ, მითხარ, რომ თავი განაცვალო,
ჩემო ტურფავ, მარგალიტის მარცვალო!

„შემიბრალებთ, ეშხითა ვარ ავადა,
მადლი ჰქენით, მოდით სანახავადა!“

მოდი გახდი აღდგომისა ბატკანი,
მომირჩინე გული სხვისგან ნატკენი;
ბამეშალე, მექმენ მაისის ვარდი,
ბერიტიკოჯან, ჩემთვის გადარდიმანდი!

ჰო, მართლა! მოდა გამოსულაო, რომ ეხლანდელს კურტუმებს ათი ვერშოკი კიდევ მოუმატონო...

სხვა რალა მოგწერო? აი თუ გაზეთი გამოვა, მაშინ გაიგებ ყველაფერს დაწერილებით, ეხლა კი დარდიანადა ვარ, დარდიანადა!

s—სს!

წერილი რედაქტორთან *ეროვნული ინტელიტისკა*

ბ. რედაქტორო! «თეატრს» გარდა სხვა რომელიმე გაზეთი რომ გვეკონდეს, იქ უფრო ვრცლად მოვილაპარაკებდი ამ საგანზედ, მაგრამ თეატრზე ლაპარაკი «თეატრშივე» რალაც არ მეხერხება; ეს მით უფრო, რომ ამ ორთავ დაწესებულებას ჰსთაონობთ ერთი და იგივე პირი, თქვენ, და ვინ იცის ვინ რას იფიქრებს; შეიძლება რომელიმე არა წმინდა სულმა ბრძანოს, რომ თავის გაზეთშივე ამ წერილით თავის თავსავე ქებათა-ქებას ასხამსო.

ღარწმუნებული ვარ, რომ პირად არც კი მიცნობთ მე თქვენ და ამიტომ შევიძლიათ, თუ ისურვებთ, დაბეჭდოთ ეს წერილი სინიღის შეუწყუხებლად, წერილი, როგორც ყოვლად დამოუკიდებელი პირადსა და მეგობრულ ანგარიშებს.

წარსულ ხუთშაბათს, ნოემბრის 21 რიცხვს, მე პირველად და ისიც შემთხვევით, დავესწარი ქართულ წარმოდგენაზედ არწრუნისეულ თეატრში. თუმცა მე არ შემიძლია ვსთქვა, რომ სამაგალითო სცენის მკოდნე და თამაშის დამფასებელი პირი გახლავართ-მეთქი, მაგრამ არც სრულიად უმეცარი მგონია ჩემი თავი ამ საგანში და, პირუთვნელად ვიტყვი, რომ ჩვენი არტისტები მართლაც თვით-შობალის და სამაგალითო ნიჭით დასაჩუქრებული ყოფილან. მათს თამაშზედ რალაც ტკბილი იმედი გიღვიძებს გულში და თავს ინუგეშებს: მადლობა ღმერთს, რომ ბუნებას ერთ საშინელ სენთან, სიზარმაცესთან, ეს საუნჯე, ძვირფასი ბუნებითი ნიჭიც თან მოუჩენია ჩვენის ხალხისათვისაო. რა უნდა დაგემართოდეს, რომ უბედურად, ამასაც მოკლებულნი ვიყვნით! ჩემზედ, როგორც თეატრის გულით მოყვარულ პირზედ, ხსენებულმა საღამომ ორი ერთი-ერთმანეთზედ უფრო ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა: სასიამოვნო და უსიამოვნო. პირველი იმაში მდკომარეობდა, რომ წარმოდგენამ შეუფასებლად და აუწერელად ჩაიარა. ხშირად სიამის მღელვარება კაცს იმდენად გიტაცებდა, რომ არ იცოდი რით უნდა გამოგეხატა სიხარული და ზოგ აქტიორთადმი გულითადი პატივის ცემა და, უთავბოლოდ ყვიროდი, გატაცებულად ღრიალებდი, მოთამაშეებს იწვევდი,—არ იცოდი რა გქნა! მაგრამ როცა ირგვლივ მიიხედ-მოიხედავდი, გული შხამითა და გესლით გემოსებოდა და წამიერად სიხარულის გამომეტყველ სახეზედ უსიამოვნება აღგებეჭდებოდა: გარშემო დაინახავდი ორ-სამ კაცს და იმათაც, როგორც მითხრეს, უსასყიდლოდ მოწვეულებს. იმათ გარდა მხოლოდ დაობლებულ სკამებსა



და ცარიელ ლოკებს დარჩენილათ ბურთი და მოედანი თამაშის სათვალ-ყუროდ. მე მაკვირვებდა აქტიორების სიმხნევე და საქმისათვის თავდადებულობა; თეატრში მისვლისათანავე გულში ვადვიწყვიტე, რომ აქ დღეს სამხარულოებს ვერაფერსა ვნახავთ. რადგანაც ხალხი არ არის და თითქმის მთელი თეატრი დაცარიელებულია, მოთამაშენი უგულოდ და უხეიროდ ითამაშებენ მეთქი, მაგრამ სულ ჩემი წინასწარი ფიქრის წინააღმდეგი ვნახე. მკვირდებოდი და თან ბრაზი მომდიოდა თბილისის ქართველ საზოგადოებაზე, რომელიც გარეგანი შეხედულებით და ტრახბახით ქართული ლიტერატურის გულ შემატკივარი გგონია და საქმით კი მტკიცდება, რომ ის უფრო უსუსური, უგულო და უდარდელი ყოფილა, ვიდრემდის რომელიმე ჩვენი პროვინციის გაუნათლებელი მცხოვრებნი. მე, როგორც ერთი პროვინციელთაგანი, ქართულ ტრუპას ვურჩევდი, რომ ზამთრობათაც კი, საცა სავალი გზა არ დაბრკოლებთ, ეწვიონ სხვა-და-სხვა კუთხეებს ჩვენის ქვეყნისას, სადაც იმათ „გაუნათლებელ და შეუფხვებელ ხალხათ წოდებულნი“ უფრო ღირსეულად, მიიღებენ და დააფასებენ, ვიდრემდის თბილისელი ქართველების საზოგადოება.

მაგზაური.

რუსული გაზეთიდან.

ათას რეას ოთხმოც-და-ხუთს ივლისის დამდეგს ნემეცურის ჟურნალის წიგნი დაიბეჭდა „Norluna suol“, რომელიც პოლია ლინადიუს რედაქტორობით გამოდის; რედაქტორის თხოვნით ყველა ჟურნალის მოღვაწეთ, რომელთა რიცხვს შეადგენდა არამც თუ მარტო ჰერმანიის მეცნიერნი და ლიტერატურნი, არამედ გარეშე გამოჩენილი პირნიც, მონაწილეობას იღებდენ ამ პატარა წიგნაკის გაღორძინებაში. ჟურნალის მრავლობითი მოღვაწეთა გამო: ამ პატარა წიგნაკმა აფორიზმიული ხასიათი მიიღო, რომელიც ზოგი ლექსათ იყო და ზოგიც პროზათ. ეს აფორიზმები მეტად საყურადღებოანი არიან და ზოგიერთი მათგანი აქ მოვეყავს.

ა. ბრიკერი (დერპტი) მეცნიერების აღმატებაში შესვლისთვის, საქმარისი არ არის, რომ ისტორიამ მხოლოდ ტიტველა ფაქტები გამოიძიოს, არამედ ცხოვრებითი მოვლენათ უნდა სჯიღეს მრავლს, რადგანაც შედეგი პროგრესია, ეს საქიროა არამც თუ მარტო მეცნიერების გამოცანისთვის,

არამედ გავლენა აქვს კაცობრიობის განვითარებაზე.

მ. ძორრიერი (მიუნხენი). როგორათაც ლოლიკა, ეტიკა და ესტეტიკა შესწავლიან არამც თუ მარტო იმას, კაცმა როგორ იფიქროს, იმოქმედოს და ილაპარაკოს, არამედ როგორ უნდა განხორციელდეს, მაგ-გვართვე ხელოვნება უნატავს გონიერთ არსებათ, ყოველივე ჭეშმარიტად როგორ უნდა არსებობდეს.

მ. ძორიუსი (ლეიპციგი). საერთოთ ხალხი ითვისებს წარჩინებულს და არა დიდად იმათავან დამსახურებულს სიყვარულს — ღეთაებრიულს და მშობლიურს, რომელიც თვითონ კაცის ბუნებაშია შთანერგილი, მაგრამ ისინი სცოდებენ იმის წინაშე.

ფ. პეტტი (მიუნხენი). ხელოვნებაში საერთო ყურადღებას იქცევს ის ჭეშმარიტება, რომელიც ეროვნული ხასიათისაა.

ა. რუბინშტეინი (პეტერბურგი). მუსიკალური ხელოვნება, ჩვენს დროს, ძალიან მწუხარე მდგომარეობაშია, უბრალო აზრის გამოსახატველად კომპოზიტორები საოცარს ფორმულების საშუალებასა ხმარობენ და იმათა ჰგონიათ სამყარო ჩვენ დავადგინეთო.

ფ. შპილგაგენი (ბერლინი). რომანის მიზანი მხოლოდ ის არის, რომ დაამტკიცოს ქვეყნიერების შეურყვევლობა და კეთილისაგან ბოროტების შემუსვრა. როდესაც იგი ასრულებს თავის მაღალს, განძრახებს საერთოდ, მერე პიროვნებას ეხება, იგი გვიშლის თვალწინ კაცის სულის მოძრაობას და იმის ყოველ დღიურს მოქმედებას, ჩვენ თვალწინა ეხედავთ ჰაერში დახატულს. სურათს სხვა-და-სხვა სახით და ხასიათებით, ამ მოვლენას ხან მეგობრულად უყურებთ და ხან მტრულად. რასაკურველია—ამ გვარა მოვლენა კაცზედ ფსიხიკურად მოქმედობს სულზედ და არა ფიზიკო-ფიზიოლოგიურად სხეულზედ, იგი ჭეშმარიტად უნატავს ჩვენს სულს ყოველივე ბუნებითს მოვლენათა და ჰარმონიულის გრძნობებით ავსებს.

ბ. შედევანოვს გიპსისაგან შეუდგენია ბრ. მრბელიანის ძეგლისთვის მოდელი, რომელიც პოეტს სამხედრო ტანისამოსში, კლდებზედ წიგნით ხელში მჯდომარეს წარმოადგენს, მსურველს შეუძლიან ნახოს ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში, სადაც იმყოფება.